გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში: არსებული გამოწვევები და მომავლის პერსპექტივები

თამთა ჩხენკელი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა კახიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

აბსტრაქტი

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება, როგორც გენდერული თანასწორობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია, აერთიანებს გენდერულ პერსპექტივებსა და სახელმწიფო ხარჯებს. საერთაშორისო დონორების მხარდაჭერითა და ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური ნების საფუძველზე საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების განხორციელების პროცესში. თუმცა ქვეყანაში არსებული სხვადასხვა გამოწვევა ჯერ კიდევ აბრკოლებს GRB-ს სრულად ინსტიტუციონალიზაციას ბიუჯეტის მთლიან ციკლში. მიუხედავად ამისა, საქართველოში მიმდინარე რეფორმები, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სახელმწიფო უწყებების ძალისხმევა ქმნის ხელსაყრელ გარემოს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების ინტეგრირებისთვის, რომელიც აძლიერებს გენდერულ თანასწორობას და ქმნის კარგ საფუძველს მდგრადი განვითარებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომი იკვლევს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების განვითარების ეტაპებს საქართველოში, შეისწავლის სახელმწიფო ბიუჯეტს გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, აანალიზებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე არსებულ მარეგულირებელ ნორმებს, განიხილავს GRB-ს ინტეგრირების შემაფერხებელ ფაქტორებს და წარმოადგენს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების ინსტიტუციონალიზაციასთან დაკავშირებულ სამომავლო ხედვას. თითოეული საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის სხვადასხვა მეთოდი. მიმდინარე კვლევა ამტკიცებს, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული საფუძვლებისა, GRB კვლავ რჩება სიმბოლური ხასიათის სტრატეგიად, რომლის პოლიტიკურ შედეგამდე გარდასაქმნელად საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაღება. აღნიშნული საკითხის შესწავლა და წარმატებით განხორციელება აუცილებელია არა მხოლოდ გენდერული თანასწორობის მისაღწევად, არამედ საქართველოში საჯარო მმართველობის ეფექტურობის, გამჭირვალობისა და ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება, საჯარო ფინანსები, სახელმწიფო ბიუჯეტი, ფისკალური პოლიტიკა, გენდერული თანასწორობა.

Abstract

One of the key tactics for achieving gender equality is gender-responsive budgeting, which combines public spending with gender perspectives. Georgia has made great strides toward implementing gender-responsive budgeting thanks to the political resolve of local authorities and the assistance of foreign funders. Nevertheless, the complete institutionalization of GRB over the entire budget cycle is still hampered by a number of national issues. However, Georgia's continuous reforms, collaboration with international organizations, and state agency initiatives foster an atmosphere that is conducive to incorporating gender-responsive budgeting, which will bolster gender equality and the nation's economy.

Based on the aforementioned, this paper investigates the stages of development of GRB in Georgia, looks at the state budget from a gender perspective, analyzes local and international regulatory standards, talks about the obstacles to GRB integration, and offers a future vision for the institutionalization of GRB. Each problem has been thoroughly examined utilizing a range of research methods. The current study makes the case that, in spite of the nation's current foundations, GRB is still only a symbolic approach that needs a lot of work to produce political outcomes. In the end, researching and effectively addressing this issue is essential to achieving gender equality as well as establishing an effective, open, and inclusive public government climate in Georgia.

Keywords: fiscal policy, public finances, state budget, gender equality, and gender-responsive budgeting.